

# სახელმძღვანელო პრინციპები: COVID-19 -ის კონტაქტების მოძიება



განახლებულია 2020 წლის ივნისში

## სახელმძღვანელო პრინციპები: COVID-19-ის კონტაქტების მოძიება

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია წითელი ჯვრის ეროვნული საზოგადოებების დასახმარებლად, რათა მათ გადაწყვიტონ ჩაერთონ თუ არა და რა სახით დაეხმარონ მთავრობებს, კონტაქტების მოძიებაში, როგორც COVID-19-ზე რეაგირების გეგმის ნაწილში. COVID-19-ის სირთულის, მისი გლობალური მასშტაბის, ეროვნული პრიორიტეტებისა და წითელი ჯვრის ეროვნული საზოგადოების შესაძლებლობების გათვალისწინებით, კონტაქტის მოძიება შეიძლება გახდეს საპაახუსო გეგმის ერთ-ერთი ნაწილი. წინამდებარე დოკუმენტი წარმოგიდგინთ სახელმძღვანელო პრინციპებს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მიზანშეწონილია კონტაქტების მოძიებაში დახმარების გაწევა, ასევე წარმოგიდგინთ მოსაზრებებს, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული კონტაქტების მოძიებისას. დოკუმენტი ასევე მოიცავს დისკუსიებს და კონტაქტების მოძიების ახალი ტექნოლოგიებისთვის საჭირო რესურსებს, ასევე ინფიცირებულთან სიახლოვის შესახებ შეტყობინებებს<sup>1</sup>.

### სარჩევი

კონტაქტების მოძიება, ვინ, რა და რატომ.....	4
კონტაქტების მოძიების შედარება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მონიტორინგის სხვა ფორმებთან .....	4
ვინ არის <i>კონტაქტი</i> ?.....	7
<b>ზოგადი მოსაზრებები კონტაქტის მოძიებასთან დაკავშირებით .....</b>	<b>7</b>
მონაცემთა დაცვა და რესურსები .....	10
ახალი ტექნოლოგიები, ინფიცირებულთან სიახლოვის დამდგენი აპლიკაციები და კონტაქტების მოძიება.....	10
<b>COVID-19-ით ინფიცირების შემთხვევის განმარტება .....</b>	<b>12</b>
<b>COVID-19-ის კონტაქტების მოძიების განხორციელება.....</b>	<b>13</b>
მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც შეტანილ უნდა იქნას კონტაქტების მოძიების ფორმებში.....	14
შეთავაზებული მეთოდები.....	16
ზოგადი წყობა და ლოგისტიკური მოთხოვნები.....	16
მოხალისეთა უსაფრთხოება .....	19
ხელმისაწვდომი ტრენინგ-რესურსები.....	20
კონტაქტების მოძიების წესები .....	21
შეთავაზებული ინდიკატორების კონტაქტების მოძიების იმპლემენტაციის მონიტორინგისა	

<sup>1</sup> გთხოვთ, გაეცნოთ ქვე-თავს სათაურით „ახალი ტექნოლოგიები, სიახლოვის პროგრამები და კონტაქტების მოძიება“ „ზოგადი მოსაზრებები კონტაქტის მოძიებასთან დაკავშირებით“ ფარგლებში, რომელშიც მოცემულია განმარტებები და ახალი ინფორმაცია ტექნოლოგიის ახალი ინსტრუმენტების შესახებ

და შეფასებისათვის.....	22
დამატებითი ინსტრუმენტები და გაიდლაინები.....	23

## კონტაქტების მოძიება, ვინ, რა და რატომ

კონტაქტის მოძიება წარმოადგენს იმ ადამიანთა იდენტიფიკაციის, შეფასებისა და მხარდაჭერის პროცესს, რომლებსაც შესაძლოა შეხება/კონტაქტი ჰქონდათ COVID-19-თან, რათა თავიდან იქნას აცილებული ვირუსის შემდგომი გავრცელება. ადამიანები, რომლებსაც შესაძლოა შეხება ჰქონდათ COVID-19-თან, იმყოფებიან სისტემატიური დაკვირვების ქვეშ (როგორც წესი ყოველდღიური), კონტაქტიდან 14 დღის განმავლობაში. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ 14 დღიანი დაკვირვება წარმოადგენს ჯანმო-ს რეკომენდაციას თუმცა ზოგიერთ მთავრობას შესაძლოა ჰქონდეს საკუთარი მოთხოვნები. გთხოვთ, დარწმუნდეთ, რომ წითელი ჯვრის ეროვნული საზოგადოება იცავს ეროვნული მთავრობისა და ჯანდაცვის წარმომადგენლების მოთხოვნებს.

ეს პროცესი საშუალებას იძლევა სწრაფად მოხდეს იმ ადამიანების იდენტიფიკაცია, რომლებიც სიმპტომურები არიან და გააჩნიათ დაავადების სიმპტომების განვითარების ალბათობა (ახლო კონტაქტები). პირველივე სიმპტომების გამოვლენისას ადამიანების იდენტიფიცირება და მათი იზოლირება ამცირებს სხვა ადამიანებზე ვირუსის გავრცელების ალბათობას და ახდენს ინფექციების პრევენციას. სიმპტომური პირის სწრაფი იზოლაცია და მისი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრებსა თუ სამკურნალო დაწესებულებებში მოხვედრა ამცირებს დამხმარე მკურნალობის დაგვიანების ალბათობას, რაც თავის მხრივ ზრდის გადარჩენის ალბათობას. კონტაქტის მოძიება უნდა იქნას გამოყენებული როგორც ყოვლისმომცველი სტრატეგიის ნაწილი, რომელიც გულისხმობს შემთხვევათა იდენტიფიკაციას, იზოლირებას და მხარდაჭერას / მკურნალობას, ტესტირებას, კარანტინს და კონტაქტების მხარდაჭერას, რაც ეპიდემიის გავრცელებისა და კონტროლის კუთხით გადამწყვეტია<sup>2</sup>. კონტაქტის მოძიება უნდა მოხდეს ცნობიერების ამაღლებასთან და ჩართულობასთან ერთად, ასევე უნდა იქნას უზრუნველყოფილი საზოგადოებისთვის ფსიქო-სოციალურ დახმარების გაწევაც.

### კონტაქტების მოძიების შედარება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მონიტორინგის სხვა ფორმებთან

წითელი ჯვრის ეროვნული საზოგადოების საქმიანობებში, შემთხვევების გამოვლენისა და მონიტორინგის სხვადასხვა ფორმის ჩართვის მრავალი გზა არსებობს და კონტაქტების მოძიებაც ერთ-ერთი მათგანია.

პროცესი	მიზანი	ვინ	როგორ
კონტაქტის მოძიება	იმ ადამიანების იდენტიფიკაცია და შემდგომი დაკვირვება, რომლებიც შესაძლოა ახლო კონტაქტში	სპეციალური ტრენინგის მქონე ჯანდაცვის მოხალისე მუშაკი (VHW) ან საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუშაკი	ახლო კონტაქტები უნდა მოთავსდნენ კარანტინში (სახლში ან საკარანტინე დაწესებულებაში) და

<sup>2</sup> ჯანმო-ს კონტაქტების მოძიება COVID-19-ის შემთხვევაში

	<p>ყოფილიყვნენ COVID-19-ით ინფიცირებულ პირებთან</p>	<p>(CHW) ან წითელი ჯვრის ეროვნული საზოგადოების მოხალისე (თუ აღნიშნული მოთხოვნილი იქნება ჯანდაცვის სამინისტროს მიერ), რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი მომზადება ეროვნულ თუ ადგილობრივ მთავრობასთან/ჯანდაცვის უწყებასთან</p>	<p>მათი მონიტორინგი უნდა განხორციელდეს ინფიცირებულთან სავარაუდო კონტაქტიდან 14 დღის განმავლობაში. აღნიშნული გულისხმობს:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. იმ პირების გამოვლენას, რომლებიც ჯდებიან „ახლო კონტაქტის“ განმარტებაში</li> <li>2. შემდგომ დაკვირვებას, მოხდა თუ არა კონტაქტთან სიმპტომების გამოვლენა (ყოველდღიურად ტელეფონით თუ ეს შესაძლებელია)</li> </ol>
<p><b>ინფიცირებულებთან კონტაქტის დამდგენელი აპლიკაციები</b></p>	<p>ადამიანებისათვის COVID-19-ით ინფიცირებულ პირთან ახლო კონტაქტის შესახებ შეტყობინებისათვის</p>	<p>ფართო საზოგადოება</p>	<p>მობილური აპლიკაცია, რომლის ჩამოტვირთვაც ადამიანებს შეუძლიათ საკუთარ მობილურ ტელეფონებში. ინსტალაციის შემდეგ, აპლიკაცია იყენებს Bluetooth-ის სიახლოვის ტექნოლოგიას, რათა შეატყობინოს პირებს იმ ადამიანთან ახლო კონტაქტის შესახებ, რომელსაც ასევე ჩამოტვირთული აქვს აპლიკაცია და მასში მითითებული აქვს, რომ დაუდასტურდა COVID-19.</p>
<p><b>აქტიური შემთხვევების პოვნა</b></p>	<p>სამიზნე ჯგუფებსა თუ რისკის შემცველ ლოკაციებზე, COVID-19-ის შემთხვევების სისტემატიური მოძიება და სკრინინგი</p>	<p>ეპიდემიოლოგები, CHW-ები ან სხვები, ჯანდაცვის სისტემის შესაძლებლობების მიხედვით</p>	<p>საჭიროებს სწრაფი სადიაგნოსტიკო ტესტირების შესაძლებლობებს და ადამიანურ რესურსებს, შესაძლოა</p>

			მოიცავდეს საგუშაგოებს/გამშვებ პუნქტებს, კარდაკარ შემოწმებას, ან საავადმყოფოების პალატებში შემოწმებას, მოხდა თუ არა ვინმეს არასწორი დიაგნოსტიკა
<b>სკრინინგი სასაზღვრო პუნქტებზე</b>	სასაზღვრო პუნქტებზე ან სასაზღვრო კონტროლის პუნქტებზე სკრინინგი, იმის დასადგენად აქვთ თუ არა სიმპტომები მოგზაურებს	სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები (HW-ები, ჯარი, პოლიცია აშ), მანდატის გათვალისწინებით, შესაძლოა ასევე იყვნენ RCRC-ის მოხალისეები	მთავრობის მოთხოვნების საფუძველზე. ძირითადად იმ სიმპტომების სკრინინგი, რომელიც ემთხვევა ჯანმო-ს ან ადგილობრივი მთავრობის განმარტებას
<b>საზოგადოებრივ დონეზე მონიტორინგი (CBS)</b>	ჯანმრთელობის რისკების დაუყოვნებლივი აღრიცხვა/შეტყობინება, რაც აკმაყოფილებს კოვიც-19-ის კრიტერიუმებს	CBS-ის გადამზადებული მოხალისეები, წითელი ჯვრის ეროვნული საზოგადოების ფარგლებში	მოხალისეებს შეუძლიათ აღრიცხონ COVID-19-თან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკები
<b>ცხელი ხაზი</b>	საკომუნიკაციო ქსელი, რომელიც საზოგადოების წევრებს საშუალებას აძლევს დაურეკონ და მოახსენონ მათ საზოგადოებაში COVID-19-თან დაკავშირებით არსებული პრობლემის შესახებ, მიაწოდონ ინფორმაცია სიმპტომების შესახებ, შემდგომი დაკვირვებისთვის	საზოგადოების წევრები, სამედიცინო დაწესებულების მუშაკები, RCRC-ის მოხალისეები	საჭიროებს ეროვნული ან ადგილობრივი ცხელი ხაზის შექმნასა და მართვას შესაბამისი საინფორმაციო-საცნობარო კავშირებით

## ვინ არის კონტაქტი?

ქვემოთ წარმოდგენილი ჯანმო-ს განმარტება თუ „ვინ არის კონტაქტი“ უნდა იქნას გამოყენებული და/ან შეცვლილი ჯანდაცვის სამინისტროს მოთხოვნების შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ განსხვავება არსებობს.

კონტაქტი არის პირი, რომელსაც ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე ტიპის შეხება ჰქონდა COVID-19-ის სავარაუდო ან დადასტურებული შემთხვევის სიმპტომების დაწყებიდან 2 დღით ადრე 14 დღემდე:

1. COVID-19-ით ინფიცირებულთან 1 მეტრის სიახლოვეში ყოფნა 15 წუთის განმავლობაში;
2. პირდაპირი ფიზიკური კონტაქტი COVID-19-ით შესაძლო ან დადასტურებულ ინფიცირებულთან;
3. COVID-19-ით შესაძლო ან დადასტურებულ ინფიცირებულ პირზე პირდაპირ ზრუნვა პერსონალური დამცავი აღჭურვილობის (PPE) გარეშე;
4. სხვა განმარტებები, რომლებიც მითითებულია ადგილობრივი რისკის შეფასებაში<sup>3</sup>.

შენიშვნა: დადასტურებული ასიმპტომური შემთხვევებისთვის, კონტაქტის პერიოდი განისაზღვრება დადებითი სინჯის აღების თარიღიდან 2 დღით ადრე - 14 დღემდე.

## ზოგადი მოსაზრებები კონტაქტის მოძიებასთან დაკავშირებით<sup>4</sup>

კონტაქტების მოძიების ეფექტურობა დამოკიდებულია დაზარალებული/ინფიცირებული საზოგადოების აქტიურ ჩართულობასა და თანამშრომლობაზე. ნდობის დამყარების მიზნით, ყველა ძალისხმევა უნდა იქნას მიმართული საზოგადოების ჩართულობისაკენ, უნდა მოხდეს კონტაქტების მოძიების მიზნისა და პროცესის მკაფიოდ განმარტება და ხალხის ნებისმიერი შეკითხვა თუ პრობლემა არ უნდა დარჩეს რეაგირების გარეშე. დაზარალებულ თემებს უნდა ჰქონდეთ ნდობა, რათა ითანამშრომლონ კონტაქტების მოკვლევის ჯგუფებთან და, იდეალურ შემთხვევაში, სათანადოდ იყვნენ ინფორმირებული ან მომზადებული, რათა თავად გახდნენ აღნიშნული ჯგუფის ნაწილი.

კონტაქტის მოძიება საუკეთესოდ ხორციელდება მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი, ზუსტი და კულტურულად სენსიტიური ორმხრივი საკომუნიკაციო მიდგომები. კონტაქტების იდენტიფიკაცია და აღრიცხვა ემყარება საზოგადოების ცნობიერებას, ნდობას და მზადყოფნას;

<sup>3</sup> დამატებითი კონტექსტური მითითებების მისაღებად იხილეთ ჯანმო-ს COVID-19-ის ს კონტაქტების მოძიების სახელმძღვანელო

<sup>4</sup> მოხდა შემდეგი დოკუმენტის შესწორება: გადაუდებელი დახმარების სახელმძღვანელო მითითებები: ებოლას ვირუსის კონტაქტის მოძიების განხორციელება და მართვა

და როდესაც აღნიშნული ძირითადი პროცესი სწორადაა აღქმული და CHW-ებისა და VHW-ების ტექნიკური მხარდაჭერით, მათში ჩართულია საზოგადოება/თემები. თემებს შესაძლოა მეტნაკლებად სურდეთ მონაწილეობა მიიღონ კონტაქტების მოძიებაში, რისკების გააზრების, COVID-19-ის აღქმადობის და იმ დამაბულობის გათვალისწინებით, რომელიც დაკავშირებულია კონტაქტად ყოფნასთან (თანატოლებისგან, ოჯახისგან ან საზოგადოებისგან) და თუ ზოგადად რას ფიქრობენ COVID-19-ის შესახებ. ხალხს შესაძლოა ეშინოდეს იდენტიფიცირებაც, თუ ეს გულისხმობს იზოლაციაში მოქცევას, რომლის დროსაც მათ საშუალება არ ექნებათ წავიდნენ სამსახურებში, სასწავლებლებში და შეხვედრებზე<sup>5</sup>. უფრო მეტიც, ხალხს შეიძლება არ სურდეს სხვა კონტაქტების დასახელებაც, ამ სტიგმისა და პოტენციური საპასუხო ღონისძიებების გათვალისწინებით. საზოგადოების მხრიდან არასწორმა ინტერპრეტაციამ და კონტაქტების სიის სიკვდილის სიად აღქმამ, შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების მხრიდან წინააღმდეგობა და შეაფერხოს კონტაქტების მოძიების პროცესი. ამიტომ, ჯანდაცვასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებისა და ჩართულობის მიდგომები, ისევე როგორც საზოგადოებისთვის ფსიქო-სოციალური დახმარების გაწევა უმნიშვნელოვანესია. შემდეგმა ღონისძიებებმა შეიძლება გააუმჯობესოს კონტაქტის მოძიებაში საზოგადოების ჩართულობა და თავიდან აგვაცილოს სტიგმა:

- უნდა მოხდეს თემის/საზოგადოების ლიდერების ჩართვა (მაგ. ჯანდაცვის კომიტეტები, ქალთა ჯგუფები, სტუდენტები და საუნივერსიტეტო ჯგუფები, ადგილობრივი მედია) და ინფორმირება COVID-19-ის ინფექციასთან, მის გავრცელებასთან და იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლითაც საზოგადოება/თემები შეძლებენ ვირუსთან ბრძოლას, მათ შორის კონტაქტების მოძიებასთან დაკავშირებით.
- უნდა მოხდეს კონტაქტების მოძიების აპლიკაციის ტექნოლოგიურ მხარესთან დაკავშირებით შესაძლებლობების განვითარება, ხელმისაწვდომი და კულტურად ადაპტირებული გზით. აპლიკაციების გამოყენება შესაძლოა გულისხმობდეს როგორც ბარიერს, ისე გადაჭრის გზებს, იმის მიხედვით თუ როგორ საზოგადოებაში/თემში გვიწევს მუშაობა. უნდა მოხდეს რელიგიური ცენტრების ჩართვა, როგორცაა ეკლესიები და მეჩეთები, რათა ხალხი ჩაერთოს ორმხრივ დიალოგში (თუ აღნიშნული ნებადართული იქნება ჯანდაცვის სამინისტროს მიერ) და მათ შორის განმარტებულ იქნას თუ რატომაც კონტაქტების მოძიება სასარგებლო მთლიანი საზოგადოებისთვის/თემისთვის.
- შესაძლებლობის შემთხვევაში, უნდა მოხდეს ჯანდაცვის საკომუნიკაციო და საგანმანათლებლო ძალისხმევის გამოყენება, COVID-19-ის პირველად ხსენებამდე.
- მოუსმინეთ და უპასუხეთ საზოგადოების გამოხმაურებებს, მათ შორის შიშებსა და შეშფოთებებს, რომლებიც ადამიანებს აქვთ კონტაქტის მოძიებასთან დაკავშირებით, და დარწმუნდით, რომ ხდება აღნიშნულის აღრიცხვა, გაანალიზება და მათზე რეაგირება. მოახდინეთ კონტაქტის მოძიების პროცესის მორგება საზოგადოების/თემების მოთხოვნილებებზე და ამავდროულად შეინარჩუნეთ

<sup>5</sup> დამატებითი მითითებების შესახებ, თუ როგორ უნდა გაუმკლავდეთ COVID-19-თან დაკავშირებულ სტიგმას, იხილეთ IFRC-ის, UNICEF-ისა და WHO-ის მიერ მომზადებული "სოციალური სტიგმის პრევენციისა და რეაგირების სახელმძღვანელო".



კონტაქტების ძიების არეალი და ეფექტურობა.

- გამოიყენეთ ადრეული ფსიქოლოგიური დახმარება, რათა მოხდეს COVID-19-თან დაკავშირებული შიშების დამლევა
- მოახდინეთ მედიის ინფორმირება შემთხვევებისა და კონტაქტების კონფიდენციალურობის დაცვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით.
- არსებობს რისკების კომუნიკაციის და საზოგადოების ჩართულობის, ასევე საზოგადოების ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების (RCCE/CEA) მრავალი ინსტრუმენტი, რომელიც დაგეხმარებათ ზემოხსენებულ აქტივობები, მათ შორის ტრენინგის რესურსები, უკუკავშირის ინსტრუმენტები, სოც. მუშაკი და სტიგმასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო. ყველა ზემოხსენებულ ინსტრუმენტზე წვდომა შესაძლებელია [აქ და CEA Hub-ზე](#)
- იყავით ინკლუზიური გენდერული, მოწყვლადი და მარგინალური ჯგუფების მიმართ. მოახდინეთ თქვენი საკომუნიკაციო მიდგომების ადაპტირება იმგვარად რომ ადვილად აღსაქმელი იყოს ნებისმიერი დონის წიგნიერებისა და ენობრივი შესაძლებლობების მქონე მოსახლეობისათვის.
- თემში შესვლისას არ მიიპყროთ ყურადღება და დარწმუნდით, რომ მისვლამდე გაივლით კონსულტაციებს თემის ლიდერებთან ან შუამავლებთან. ეს მოახდენს ჯანდაცვის მუშაკებისა ან მოხალისეების მიმართ არსებული შესაძლო სტიგმის ზრდის პრევენციას.

კონტაქტების წარმატებული მოძიებისათვის საჭიროა COVID-19-ის სიმპტომების შეფასების უნარები, ინტერვიუების ტექნიკა და კონსულტაცია. მოხალისეები უნდა იყვნენ მოქნილები და გამოხატავდნენ ემპათიას ინფიცირებულის, მისი კონტაქტების და მათი ოჯახების მიმართ, რათა მოახდინონ ნდობის დამყარება და საზოგადოებასთან კარგი კომუნიკაცია.

კონტაქტის მოკვლევის დონისძიებების განხორციელება შეიძლება განსხვავდებოდეს დაავადების სიმძიმისა და ადგილობრივი კონტექსტის მიხედვით. ყოველდღიურად მოკვლეული შემთხვევებისა და კონტაქტების რაოდენობა შეიძლება ფარავდეს ფართო გეოგრაფიულ არეალს და ვრცელდებოდეს განსაზღვრულ ადგილებში, როგორცაა მაგალითად მჭიდროდ დასახლებული ურბანული რაიონები, რაც ლოგისტიკური გამოწვევების წინაშე აყენებს ყველას, ვისაც კონტაქტი ჰქონდა ინფიცირებულთან, და ასევე მოსახლეობის ფართო ჯგუფებს, როგორცაა მიგრანტები და ლტოლვილები, რომლებმაც შესაძლოა უარი თქვან მოძიების პროცესზე, შიშისა და უნდობლობის გამო. ასეთ შემთხვევებში საჭიროა სრულყოფილი და სისტემური კონტაქტის მოძიების აქტივობების გაძლიერება, საზოგადოების ჩართულობის ძლიერი და კონტექსტური მიდგომებით და უსაფრთხო სოციალური მობილიზაციის გზით<sup>6</sup>.

<sup>6</sup> COVID-19 დროს საზოგადოების უსაფრთხო ჩართულობის უწყებათაშორისი რესურსები

## მონაცემთა დაცვა და რესურსები

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეთიკის დაცვა და მონაცემთა დაცვის პრინციპების შესრულება უნდა მოხდეს კონტაქტის მოძიების საქმიანობის ყველა ეტაპზე.

სანამ RCV ადგილობრივ ან ეროვნულ ხელისუფლებასთან ერთად ჩაერთვება კონტაქტის მოძიებაში, მნიშვნელოვანია რომ მოხდეს ყველა მოხალისეობისაკენ მოწოდებისა თუ შეთანხმების გადასინჯვა და მასში შეტანილ იქნას პუნქტი პირადი, კონფიდენციალური ან სხვა ტიპის სენსიტიური ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებით. ხელმოწერის ჩანაწერი უნდა არსებობდეს ყველა მოხალისეზე, რომელიც მონაწილეობს კონტაქტის მოკვლევაში. ტრენინგის დროს მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, რომ პირადი, კონფიდენციალური ან სხვა სენსიტიური ინფორმაციის გამჟღავნება, განსაკუთრებით კონტაქტის მოძიებასთან დაკავშირებით, რისკის ქვეშ აყენებს პიროვნების უსაფრთხოებას და, შესაბამისად, აკრძალულია. გარდა ამისა, მთავრობის ოფიციალური პირებისგან მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, დაეკისრებათ თუ არა RCV-ებს რაიმე სახის პასუხისმგებლობა კონტაქტის მოძიების პროცესში. მოხალისეებს ასევე უნდა ეცნობოთ, რომ მათ შეიძლება მოსთხოვონ დამატებითი საბუთის ხელმოწერა კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით, თუ მათ უშუალოდ მოუწევთ თანამშრომლობა ჯანდაცვის სამინისტროსთან ან მთავრობის სხვა უწყებებთან.

დამატებით, უნდა შეიქმნას მონაცემთა დაცვის გარანტიები, რომ უზრუნველყოფილ იყოს კონფიდენციალურობა და მონაცემთა დაცვა, იმ ქვეყნების იურიდიული ჩარჩოების შესაბამისად, სადაც სისტემები ხორციელდება და იმის შესახებ თუ როგორ ხდება მონაცემების დამუშავება, შენახვა და გამოყენება დაინტერესებულ პირებს უნდა ეცნობოს მკაფიოდ და გამჭვირვალე წესით. ეს მნიშვნელოვანია მოზიდვისა და ჩართულობისთვის, ასევე არასწორი აღქმის თავიდან ასაცილებლად, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კონტაქტების მოძიების ეფექტურობას<sup>7</sup>.

ჰუმანიტარული საქმიანობისას მონაცემების დაცვის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, გაეცანით [ICRC-ის სახელმძღვანელო პრინციპებს ჰუმანიტარული საქმიანობის დროს მონაცემების დაცვის შესახებ](#).

## ახალი ტექნოლოგიები, ინფიცირებულთან სიახლოვის დამდგენი აპლიკაციები და კონტაქტების მოძიება

მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების ახალი ინსტრუმენტები არ არის აუცილებელი კონტაქტების მოძიების დროს, აღნიშნულმა ინსტრუმენტებმა შესაძლოა ხელი შეუწყონ პროცესს. ციფრული ინსტრუმენტები შესაძლოა მოიცავდეს ჯანმო-ს Go.data-ის პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციას, სიმპტომების აღმრიცხველ აპლიკაციას, ინფიცირებულთან სიახლოვის აღმრიცხველ აპლიკაციას და სხვა ციფრული აღრიცხვის ფორმებს. ციფრული საშუალებები, რომლებიც გამოიყენება კონტაქტის მოკვლევისას, უნდა შეფასდეს მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალურობის სტანდარტების შესაბამისად, ეროვნული მოთხოვნების შესაბამისად, მათი გამოყენების დაწყებამდე. მინიმალური

<sup>7</sup> ჯანმო-ს კონტაქტების მოძიება COVID-19-ის დროს

ინფორმაცია, რომელიც საჭიროა კონტაქტის მოკვლევის სათანადოდ ჩასატარებლად, წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ *კონტაქტის მოძიების განხორციელება COVID-19-ის დროს*.

ინფიცირებულთან სიახლოვის დამდგენი აპლიკაცია **Proximity Tracking** იყენებს Bluetooth ტექნოლოგიას ორ სმარტფონს შორის მანძილის გასაზომად, იმის დასადგენად, ჰქონდათ თუ არა ორ ადამიანს საკმარისად მჭიდრო კონტაქტი იმდენ ხანს, რომ ვირუსი გავრცელებულიყო ინფიცირებული ადამიანიდან არაინფიცირებულ ადამიანზე. ეს წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ინფორმაციულ ტექნოლოგიების პროგრამას, რომელიც ახდენს იმ ადამიანების ინფორმირებას, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდათ კონტაქტი COVID-19-ით ინფიცირებულთან და მათთვის ვირუსის გავრცელების რისკის შეტყობინებას. მიუხედავად იმისა, რომ Proximity Tracking ხშირად განიხილება, როგორც კონტაქტის მოძიება, ეს უნდა იქნას გაგებული, როგორც ერთ-ერთი პოტენციური მეთოდი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც კონტაქტის მოძიების ნაწილი, და უფრო მეტი ეფექტურობისათვის უნდა იქნას ინტეგრირებული ჯანდაცვის არსებულ სისტემაში. მას არ შეუძლია ჩაანაცვლოს კონტაქტების გამორიცხვის ტრადიციული მეთოდი ან კონტაქტებთან ტელეფონით ან პირადად დაკავშირების მეთოდი, და შესაბამისად იგი უნდა იქნას გამოყენებული შესაბამის პერსონალთან, ტესტირების სერვისებთან და იმ ადამიანთა მხარდაჭერის/დახმარების სისტემასთან ერთად, რომელთაც ეცნობათ, რომ შესაძლოა შეხება ჰქონდათ ვირუსთან.

ინფიცირებულთან სიახლოვის დამდგენი აპლიკაციების [რამდენიმე ვარიანტი](#) არსებობს, თუ აღნიშნული სტრატეგიის შესწავლა წარმოადგენს ჯანდაცვის სამინისტროსა და წითელი ჯვრის ეროვნულ საზოგადოებების ინტერესს. როგორც ავსტრალიის, ისე შვეიცარიის წითელმა ჯვარმა მხარი დაუჭირა ინფიცირებულთან სიახლოვის დამდგენი [ღია წყაროს](#) პროგრამული უზრუნველყოფის მქონე აპლიკაციების შექმნას Apple-ისა და Android-თვის, ხოლო ადგილობრივმა მთავრობებმა შექმნეს საკუთარი აპლიკაციები.

ადგილმდებარეობის დადგენა - **Location Tracing** ძირითადად იყენებს ხალხის მობილური ტელეფონებიდან GIS მონაცემებს იმის სანახავად, თუ რამდენად იცავს მოსახლეობა შესაბამისი მთავრობებისგან მიღებულ რეკომენდაციებს დისტანციის დაცვასთან დაკავშირებით. რამდენიმე სხვა ტექნოლოგია, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას ადგილმდებარეობის დასადგენად არის სოციალური მედიის თვალყურისდევნება და სახის ამოცნობა. მაშინ როცა ადგილმდებარეობის დადგენა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ინდივიდუალურ დონეზე, იმის შესამოწმებლად თუ რამდენად ხდება კარანტინის პროტოკოლის დაცვა, მისი გამოყენება ძირითადად ხდება მოსახლეობის დონეზე, ეპიდემიის დროს მოსახლეობის დინამიკის უკეთ აღსაქმელად.

მიუხედავად იმისა, რომ ციფრულ აპლიკაციებს გააჩნიათ გარკვეული უპირატესობები ეპიდემიის გავრცელების შემცირების კუთხით, მათ თან ახლავთ რისკებიც. კონტაქტების მოძიების აპლიკაციების ანალიზისას, IFRC-იმ და ICRC-იმ შექმნეს [ბლოგი](#) Humanitarian Law & Policy-ზე, სადაც აღნიშნულია:

სახელმწიფოებმა, თავიანთი კონტექსტის მიხედვით, უნდა შეაფასონ კონტაქტების მოძიების მობილური

აპლიკაცია თუ რამდენად იქნება იგი შესაფერისი, ეფექტური, ეთიკური და უსაფრთხო კომპონენტი COVID-19-ზე რეაგირებისათვის. თუ სახელმწიფო მიიჩნევს რომ ეს ასეა, მაშინ სახელმწიფომ უნდა აიღოს სარგებელისა და რისკების დაბალანსების ვალდებულება ისეთი დეცენტრალიზებული პროტოკოლის გამოსაყენებლად როგორცაა DP-3T, და მოახდინოს მონაცემების დაცვის დიზაინის ჩართვა და თანამედროვე სამეცნიერო, ეთიკური და სამართლებრივი სტანდარტების გამოყენება<sup>8</sup>.

### დამატებითი რესურსები:

ჯანმო-მ სახელმძღვანელო პრინციპებში აღწერა ეთიკური მოსაზრებები, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული კონტაქტების მოძიებისას ინფიცირებულთან სიახლოვის დამდგენი ტექნოლოგიის გამოყენებისას: [ეთიკური მოსაზრებები რომელიც გამოყენებული უნდა იყოს ინფიცირებულთან სიახლოვის დამდგენი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებისას COVID-19-ის კონტაქტების მოძიებისას.](#)

UNICEF-მა შეიმუშავა სამ გვერდიანი სპეციალური გაიდლაინები, კონტაქტების მოძიებისას და დაკვირვებისას ბავშვებთან მიმართებაში ეთიკური მოსაზრებების შესახებ, იმის უზრუნველსაყოფად, რომ დაკვირვება იქნება მიზანზე ორიენტირებული, პროპორციული, პროფესიონალურად ანგარიშვალდებული, მონაწილეობრივი, ბავშვა უფლებების დაცვაზე ორიენტირებული და მონაცემების დამუშავების მთლიანი ციკლის დროს უზრუნველყოფილ იქნება ზიანის პრევენცია: [კონტაქტების მოძიება და დაკვირვება ციფრული ფორმით COVID-19-ის დროს - ზოგადი და ბავშვებზე ორიენტირებული ეთიკური საკითხები.](#)

## COVID-19-ით ინფიცირების შემთხვევის განმარტება

ჯანმო-ს მიერ შემოთავაზებული [ინფიცირების შემთხვევის განმარტება](#)<sup>9</sup> წარმოდგენილია ქვემოთ და მისი შედარება და შესწორება უნდა მოხდეს თითოეულ ქვეყანასთან მიმართებაში, რათა იგი შესაბამისობაში იქნას მოყვანილი ჯანდაცვის სამინისტროს მოთხოვნებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

### ინფიცირების საეჭვო შემთხვევა:

ა) პაციენტი მწვავე რესპირატორული დაავადებით (ცხელება და რესპირატორული დაავადების სულ მცირე ერთი ნიშანი / სიმპტომი, მაგ. ხველა, სუნთქვის გაძნელება) და მოგზაურობის ისტორიით ან საცხოვრებელის ადგილმდებარეობით, რომლის თემშიც დაფიქსირდა COVID-19-ის შემთხვევები, სიმპტომების გამოვლენამდე 14 დღით ადრე;

<sup>8</sup> სტაჰელინი, ბალტასარი; აპტელი, სესილი. [COVID-19 და კონტაქტის ძებნა: ციფრული აქტივობისაკენ მოწოდება](#). ჰუმანიტარული სამართალი და პოლიტიკა. 2020 წლის 13 მაისი.

<sup>9</sup> გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ COVID-19- ის საეჭვო, სავარაუდო და კლინიკურ (დადასტურებულ) შემთხვევაში შემთხვევის განმარტებები უნდა გადაიხედოს ჯანმოს მიერ 2020 წლის 12 ივლისს. შემთხვევის ყველაზე თანამედროვე განმარტებების სანახავად, გთხოვთ, იხილოთ ჯანმო-ს სახელმძღვანელო პრინციპები, მითითებული [ბმულზე](#)

ან

ბ) პაციენტი მწვავე რესპირატორული დაავადებით და რომელსაც კონტაქტი ჰქონდა COVID-19-ის დადასტურებულ ან შესაძლო შემთხვევასთან (იხილეთ განმარტება ზემოთ), სიმპტომების გამოვლენამდე 14 დღით ადრე;

ან

გ) პაციენტი მწვავე რესპირატორული დაავადებით (ცხელება და რესპირატორული დაავადების სულ მცირე ერთი ნიშანი / სიმპტომი, მაგ. ხველა, სუნთქვის გაძნელება და რომელიც საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას) და რომელსაც არ გააჩნია სხვა ალტერნატიული დიაგნოზი, რაც სრულად ხსნის მის კლინიკურ მონაცემებს.

**ინფიცირების შესაძლო შემთხვევა არის:**

ა) საექვო შემთხვევა, რომლის შემთხვევაშიც COVID-19-ის ტესტი არასარწმუნოა;

ან

ბ) საექვო შემთხვევა, რომლის ტესტირებაც ვერ განხორციელდა რაიმე მიზეზით.

**დადასტურებული შემთხვევა არის:**

პირი, ლაბორატორიულად დადასტურებული COVID-19-ის ინფექციით, კლინიკური ნიშნებით და სიმპტომებით, ან მათ გარეშე.

## **COVID-19-ის კონტაქტების მოძიების განხორციელება**

კონტაქტების მაძიებლები მუშაობენ დაზუსტებულ შემთხვევასთან კონტაქტის მქონე პირის სოციალური, ოჯახური, სამსახურისა და ჯანდაცვის მუშაკის კონტაქტების მოძიებაზე, პირველი სიმპტომის გამოვლენამდე 2 დღით ადრე და სიმპტომების გამოვლენიდან 14 დღემდე, ხოლო ასიმპტომური ინფიცირებული პაციენტის შემთხვევაში, COVID-19-ზე ტესტის დადებითი პასუხის მიღებამდე 2 დღით ადრე და 14 დღის შემდეგ. კონტაქტის მაძიებელი სპეციალისტები ქმნიან დაავადებული პირის (დადასტურებული ან საექვო შემთხვევა) თითოეული კონტაქტის ხაზოვან სიას. აღნიშნული ხაზოვანი სია მოიცავს კონტაქტის სახელს; დემოგრაფიულ ინფორმაციას (ასაკი, სქესი); პირველი და ბოლო კონტაქტის თარიღს ან დადასტურებულ ან შესაძლო შემთხვევასთან კონტაქტის თარიღს; და იმ შემთხვევაში თუ კონტაქტს გამოვლენილი აქვს რესპირატორული სიმპტომები, ასეთი სიმპტომების გამოვლენის თარიღი. უნდა მოხდეს ინფიცირების და დადასტურებულ ან საექვო შემთხვევებთან კონტაქტის ტიპების ზედმიწევნით დოკუმენტირება ნებისმიერი კონტაქტის შემთხვევაში, რომლებიც დაინფიცირდნენ COVID-19-ით, როგორც ეს მოთხოვნილია ჯანდაცვის სამინისტროს სახელმძღვანელო მითითებებსა და პროცედურებში.

COVID-19-ის საექვო შემთხვევების კონტაქტებისთვის, სულ მცირე, RCV-ებმა უნდა მოახდინონ რესპირატორული და ხელის ჰიგიენისაკენ, და ეპიდემიოლოგიური კონტექსტისა და არსებული რესურსების და ასევე ჯანდაცვის სამინისტროს პოლიტიკის გათვალისწინებით, სიმპტომების თვით-მონიტორინგისკენ, ფიზიკური დისტანცირებისაკენ ან კარანტინისკენ (სახლში ან საკარანტინე დაწესებულებებში) მოწოდება.

**მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც შეტანილ უნდა იქნას კონტაქტების მოძიების ფორმებში**

ეროვნულ დონეზე წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებებმა, ადგილობრივებთან ერთად უნდა იმუშაონ კონტაქტების მოძიებაზე, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ რეკომენდირებული კონტაქტების მოძიების ფორმების გამოყენებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ასეთი ფორმების არ არსებობის შემთხვევაში, ჯანმო-ს რეკომენდაციით, კონტაქტების მოძიების ფორმაში უნდა მოხდეს შემდეგი ტიპის ინფორმაციის მითითება:

<p style="text-align: center;"><b>ინფორმაციის ტიპი</b> <b>მინიმალური საჭირო მონაცემები</b></p>	<p style="text-align: center;"><b>ინფორმაციის ტიპი</b> <b>მინიმალური საჭირო მონაცემები</b></p>
<p>კონტაქტის იდენტიფიკაცია (ივსება ერთხელ)</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კონტაქტის (უნიკალური) ID</li> <li>• დაკავშირებული წყაროს, შემთხვევის ID ან ღონისძიების ID (COVID-19-ის დადებითი „წყაროს“ საიდენტიფიკაციო ნომერი, ან შემთხვევა, რომლის დროსაც მოხდა კონტაქტის გამოვლენა)</li> <li>• კონტაქტის სახელი სრულად</li> <li>• მისამართი (და გეოგრაფიული ლოკაცია, შესაძლებლობის შემთხვევაში)</li> <li>• ტელეფონის ნომერი და/ან სხვა საკონტაქტო დეტალები</li> <li>• ალტერნატიული საკონტაქტო დეტალები (მნიშვნელოვანია სხვადასხვა სატელეკომუნიკაციო მიმღების შემთხვევაში)</li> </ul>
<p>დემოგრაფიული ინფორმაცია (ივსება ერთხელ)</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დაბადების თარიღი (ან ასაკი, თუ ცნობილია)</li> <li>• სქესი</li> <li>• თანამდებობა (ჯანდაცვის მუშაკის, ტრანსპორტის მუშაკის და სხვა რისკის)</li> </ul>

	<p>შემცველი თანამდებობის დასაზუსტებლად)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ურთიერთობა წყაროსთან</li> <li>• ენა (მრავალეროვნული მოსახლეობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p>კონტაქტის ტიპი (ივსება ერთხელ)</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კონტაქტების ტიპი (ოჯახი, სამუშაო ადგილი, თემი, სამედიცინო დაწესებულება, სხვა)</li> <li>• COVID-19-ის შემთხვევასთან ბოლო კონტაქტის თარიღი</li> <li>• ინფიცირებულთან კონტაქტის სიხშირე და ხანგრძლივობა (ეს შესაძლებელია გამოყენებულ იქნას კონტაქტების მაღალი და დაბალი რისკის მქონედ კლასიფიკაციისთვის, იმ შემთხვევაში თუ რესურსები ძალიან ლიმიტირებულია, ხდება მხოლოდ მაღალი რისკის მქონე პირების მოძიება)</li> <li>• კონტაქტის მოწყვლადობაზე გავლენის მომხდენი ფაქტორები (რისკ ფაქტორები, როგორცაა ასაკი და თანმდევი ავადმყოფობები)</li> </ul>
<p>ყოველდღიური დაკვირვების ნიშნები და სიმპტომები  (ინფორმაცია ივსება ყოველდღიურად, კონტაქტთან თითოეული კომუნიკაციის შემდეგ)</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სიცხე (შეგრძნება ან გაზომვა; აღრიცხვა ან დაკვირვება)</li> <li>• სხვა სიმპტომები და ნიშნები: ყელის ტკივილი, ხველა, სურდო, სუნთქვის უკმარისობა ან გართულებული სუნთქვა, კუნთების ტკივილი, ყნოსვის ან გემოს დაკარგვა, დიარია</li> </ul>
<p>კონტაქტთან კავშირის დაკარგვა ან დაკვირვების შესაძლებლობის არქონა (როდესაც კონტაქტთან დაკავშირება ვერ ხერხდება)</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ყოველდღიური ნიშნების და სიმპტომების ვერ-აღრიცხვის მიზეზები (კონტაქტებთან დაკავშირება შეუძლებელია, შეიცვალა მისამართი)</li> <li>• ახალი მისამართი (ასეთის შემთხვევაში)</li> </ul>
<p>სიმპტომურობის შემთხვევაში განხორციელებული ქმედებები (ივსება ერთხელ)</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სიმპტომების გამოვლენის თარიღი</li> <li>• რეფერალური კრიტერიუმი (კლინიკური სირთულისა და მოწყვლადობის ფაქტორების არსებობის გათვალისწინებით)</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• კონტაქტის ლოკაცია (თვითიზოლაცია სახლში, თვითიზოლაციის სხვა დაწესებულება, საავადმყოფო)</li> <li>• მოხდა თუ არა სინჯის აღება, სინჯის აღების თარიღი</li> </ul>
--	--

ამოღებულია ჯანმოს გაიდლაინიდან: [კონტაქტების მოძიება COVID-19-ის პირობებში: მუალედური გაიდლაინი \(გვ. 4\)](#)

### შეთავაზებული მეთოდები

COVID-19-ის კონტაქტების მოძიების მასშტაბისა და საჭიროებების უკეთ განსაზღვრისათვის, დარწმუნდით, რომ აღნიშნულ საკითხს განიხილავთ ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამის საკონტაქტო პირთან. ჯანდაცვის სამინისტროს აქვს კონკრეტული პროტოკოლები, რომლებიც შესაბამისობაშია ჯანმო-ის გაიდლაინებთან და შეთავაზებულ მეთოდებთან, თუმცა ადაპტირებულია კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინებით. მოხალისეთა უსაფრთხოება არის უმთავრესი და უნდა იქნას გათვალისწინებული ჯანდაცვის პროტოკოლში. ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე მოსაზრება, ზოგად ლოგისტიკასთან და HR მოსაზრებებთან ერთად.

### ზოგადი წყობა და ლოგისტიკური მოთხოვნები

კატეგორია	შეთავაზებული მოსაზრებები	დიახ/მიზანშეწონილია	არა/ამყამად არაა მიზანშეწონილი
კონტაქტების მოძიების დაგეგმვა/პროცესები	<ol style="list-style-type: none"> <li>1. პარტნიორებთან/ჯანდაცვის სამინისტროსთან, შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ერთად დაგეგმილი კონტაქტების მოძიების პროტოკოლი</li> <li>2. RCV-ების მკაფიოდ განსაზღვრული მოვალეობები და უფლებები</li> <li>3. დაგეგმარების პროცესში გათვალისწინებული RCC და PSS სტრატეგია</li> </ol>		



	<p>4. მოხალისეთა კონფიდენციალურობის შეთანხმებების გადასინჯვა და კონტაქტების მოძიების კუთხით მათი შესაბამისობის უზრუნველყოფა</p>		
<p>შეთავაზებული ადამიანური რესურსები</p>	<p>არეალში 1 უბნის (ან ექვივალენტი) ოფიცერი</p> <p>1 სუპერვაიზორი 20-30 მოხალისეზე (სუპერვაიზორი შეიძლება იყოს ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომელი, CHWები ან RCRC-ის წევრი)</p> <p>1 მოხალისე 20-30 კონტაქტზე</p>		
<p>ლოგისტიკური მოსაზრებები</p>	<p>ტრანსპორტი/თემთან წვდომა ადგილობრივ კონტექსტში</p> <p>ინტერესის ადგილებში უსაფრთხოების კუთხით არსებული სიტუაცია</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოხალისეებს საშუალება აქვთ გადაადგილდნენ თემში და ჩაატარონ აქტივობები ან დაუკავშირდნენ კონტაქტებს ტელეფონით</li> <li>• შესაძლებელია სუპერვაიზორის ვიზიტები</li> <li>• კონტაქტების მოძიება მისაღებია თემისთვის</li> </ul> <p>კონტაქტების მოძიების ბეჭდური სისტემა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოხალისეთა ნაბეჭდი ფორმები</li> <li>• სუპერვაიზორებისთვის საანგარიშო ფორმები</li> </ul>		

	<p>ციფრული აპლიკაციების ტექნოლოგიები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სმარტფონები და ქსელები, რომლებიც ხელმისაწვდომია სუპერვაიზორებისათვის, კონტაქტების მოძიების გეგმის საფუძველზე</li> </ul> <p>ჰიგიენა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ყველა მოხალისეს, რომელიც ჩართულია კონტაქტების მოძიებაში, უნდა ჰქონდეს წვდომა ხელის სანიტაიზერზე და/ან შეეძლოს ხელის დაბანა</li> </ul>		
<p>რეკომენდირებული ტრენინგები</p>	<p>მოხალისეთა ტრენინგები ლოკაციის მიხედვით</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ლოკაციის შერჩევა მოხდება სუპერვაიზორის მიერ</li> <li>• არ უნდა აღემატებოდეს 25-ს</li> </ul> <p>2-4 დღიანი მოხალისეთა ტრენინგები, კონტაქტების მოძიებაში, მათ შორის RCCE-ში<sup>10</sup></p> <p>საჭიროების შემთვევაში განმეორებითი ტრენინგები</p>		
<p>მონიტორინგის, შეფასებისა და უკუკავშირის მექანიზმი</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ძირითადი ინდიკატორები გათვალისწინებულია და შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მოსალოდნელი</li> </ul>		

<sup>10</sup> ტრენინგ ინსტრუმენტები მოიცავს: ECV და RCCE სასწავლო პაკეტს, რომელიც შემუშავებულია აფრიკის რეგიონისთვის; RCCE-ის ერთდღიანი სწრაფი ტრენინგი COVID-19-ისთვის; ToT Webinar RCCE-ზე

	<p>რესურსების გათვალისწინებით</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საზოგადოების უკუკავშირის მექანიზმი მოიცავს ხალხის აღქმის, შიშის, კითხვებისა და წინადადებების ასახვასა და ანალიზს კონტაქტის მოძიებასთან და ზოგადად COVID-19-თან დაკავშირებით. თუ უკუკავშირი შეგროვება ხდება სხვა აქტივობებთან ერთად, როგორცაა სოციალური მობილიზაცია, ეს უნდა იქნას შეტანილი აქ, წითელი ჯვრის ეროვნული საზოგადოების ერთიანი უკუკავშირის სისტემის ფარგლებში.</li> </ul>		
--	---	--	--

**მოხალისეთა უსაფრთხოება**

შესაძლებლობის შემთხვევაში, გთავაზობთ, რომ კონტაქტების მოძიება მოხდეს ტელეფონის მეშვეობით. ეს იძლევა ვირუსის პოტენციური გადაცემისგან მაქსიმალური დაცვის და ასევე პირადი კონფიდენციალურობის დაცვის საშუალებას. თუმცა, ბევრ შემთხვევაში, შემდგომი სატელეფონო დაკვირვება შეუძლებელია. იმ შემთხვევაში თუ აუცილებელია უშუალო დაკვირვება, ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას.

ყველა მოხალისეს, გადაცემის ნებისმიერ დონეზე, ყოველი პერსონალური ვიზიტის შემდეგ უნდა ჰქონდეს წვდომა ხელის სანიტაიზერთან. რეკომენდირებულია, რომ თემის წევრებთან შეხვედრისას **მოხალისე იცავდეს 1-2 მეტრის დისტანციას და არ ჰქონდეს ფიზიკური კონტაქტი**. თუ ეს შესაძლებელია, კომუნიკაცია უნდა შედგეს ტელეფონით, ფანჯრიდან ან ღია სივრცეში, ოჯახის/თემის ჯანმრთელ წევრსა და მოხალისეს შორის, და არა უშუალოდ ინფიცირებულ პირსა და მოხალისეს შორის.

იმ შემთხვევაში თუ კონტაქტების მოძიება ხდება CHV-ების მიერ, რომლებმაც გაიარეს შესაბამისი ტრენინგი, რათა დამატებითი ჯანდაცვის მომსახურება გაუწიონ პირებს, მათ უნდა გამოიყენონ დამატებითი პერსონალური დამცავი აღჭურვილობები, აღნიშნული საკმინაობისა და მთავრობის მოთხოვნების შესაბამისად.

მოხალისებმა, რომლებიც ახორციელებენ კონტაქტების მოძიების აქტივობებს, ჯანდაცვის სამინისტროს მოთხოვნების შესაბამისად, უნდა გამოიყენონ პერსონალური დამცავი აღჭურვილობები როგორც კონტაქტების მოძიებისას, ისე თემთან სხვა ჩართულობისას. გთხოვთ, დარწმუნდით, რომ პერსონალურ დამცავ აღჭურვილობებს მიიღებთ ჯანდაცვის სამინისტროდან. პირადი ვიზიტების შემთხვევაში, რეკომენდირებულია, რომ მოხალისეებს თემის წევრებთან კომუნიკაციისას მუდმივად ეკეთოთ პირბადეები, როდესაც 2 მეტრიანი დისტანციის დაცვა შეუძლებელია.

### ხელმისაწვდომი ტრენინგ-რესურსები

ჯონ ჰოპკინსის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ბლუმბერგის სკოლამ, Coursera-სთან თანამშრომლობით შიმუშავა [COVID-19-ის კონტაქტების მოძიების უფასო ონლაინ კურსი](#), რომელიც ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის ჯანმო-ს მიერ. კურსის თემებია:

- ფონური ინფორმაცია, COVID-19-ის კლინიკური ნიშნები და რისკ ფაქტორები
- COVID-19-ის კონტაქტების მოძიების საფუძვლები, შემთხვევების გამოკვლევის ეტაპები
- კონტაქტების მოძიების ეთიკა, ტექნოლოგიები და ინსტრუმენტები
- ეფექტური კომუნიკაცია

კონტაქტების მოძიების ტრენინგი, ყოველთვის შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნულ პროტოკოლთან.

## კონტაქტების მოძიების წესები

### სწორია

- დაიცავით ფიზიკური დისტანცია და კონტაქტების მოძიება შეძლებისდაგვარად მოახდინეთ სატელეფონო ზარების მეშვეობით
- იყავით ემპათიური, მოუსმინეთ და რეაგირება მოახდინეთ იმ პირთა პრობლემებზე, რომლებიც გიკავშირდებიან, გამოიყენეთ RCCE, PSS და სხვა მხარდაჭერის ღონისძიებების შესახებ მოხალისეთა ტრენინგების დროს მიღებული ცოდნა
- შეაგროვეთ და რეაგირება მოახდინეთ თემის უკუკავშირზე IFRC RCC-ის სახელმძღვანელო პრინციპებისა და [ინსტრუქციების](#) გამოყენებით. ესაუბრეთ წითელი ჯვრის ადგილობრივი საზოგადოების RCCE და CEA-ის საკონტაქტო პირებს
- დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით, თითოეული ვიზიტის შემდეგ გამოიყენეთ ხელის სანიტაიზერი
- დაუკავშირდით თქვენს სუპერვაიზორს, ნებისმიერ დროს თუ არ ხართ დარწმუნებული ან არ გრძნობთ თავს დაცულად
- იმოქმედეთ წითელი ჯვრის ეროვნული საზოგადოებისა და მთავრობის მოქმედი პროცედურების შესაბამისად

### არასწორია

- არ მოახდინოთ ადამიანების სტიგმატიზება ან არ გამოიწვიოთ მათში სირცხვილი იმის გამო, რომ მათზე ხორციელდება დაკვირვება
- არ მოახდინოთ კონტაქტების სახელების, საკონტაქტო ინფორმაციის გასაჯაროება კონტაქტების მოძიების გუნდის გარეთ
- არ შეხვიდეთ სახლებში კონტაქტების მოძიების აქტივობების განხორციელებისას, მოხალისეები ხალხ უნდა ესაუბრონ ღია სივრცეში, ფანჯრიდან, 1-2 მეტრიანი დისტანციის დაცვით
- არ შეეხოთ ან არ მიხვიდეთ ვინმესთან 2 მეტრზე უფრო ახლოს
- არ დაიღალოთ, მოხალისეები უნდა იყოს მომთმენნი და უსმენდეთ სხვის პრობლემებს და აწვდიდეთ სწორ ინფორმაციას, ჭორებისა და არასწორი ინფორმაციის საპირისპიროდ

**შეთავაზებული ინდიკატორების კონტაქტების მოძიების იმპლემენტაციის  
მონიტორინგისა და შეფასებისათვის**

<b>შეთავაზებული ინდიკატორი</b>	<b>კალკულაცია/დეტალები</b>	<b>მიზანი</b>
ყოველდღიურად მონახულებული/დაკავშირებული კონტაქტების სამიზნე რაოდენობის %	ყოველდღიურად მონახულებული დაკავშირებული კონტაქტების #  მონახულებული/დაკავშირებული კონტაქტების სამიზნე #	მონიტორინგი
საეჭვო ან დადასტურებული შემთხვევების % სამიზნე ადგილებში, რომლებიც მითითებულია და მოცულია RCV-ის კონტაქტების მოძიების აქტივობებით	დადასტურებული შემთხვევების # რომელიც RCV-ის კონტაქტების მოძიების სპეციალისტების მიერ მიწოდებულ იქნა ხელისუფლებისთვის / სამიზნე ადგილებში ხელისუფლების მიერ დადასტურებული შემთხვევების ჯამური #	შემოქმედება
შემდგომი დაკვირვებისას დაკარგული კონტაქტების პროპორციულობა (რომელთან დაკავშირებდად არ ხდება > 2 დღეა)	კონტაქტების # რომლებთან დაკავშირებაც ვერ მოხდა ზედიზედ >2 დღის განმავლობაში/კონტაქტების # რომელთანაც უნდა მოხდეს დაკავშირება გეოგრაფიული რეგიონის და/ან კონტაქტის ტიპის მიხედვით)	მონიტორინგის არეალი
დაკვირვების ქვეშ მყოფი კონტაქტების პროპორციულობა, რომლებიც იქცნენ საეჭვო შემთხვევებად	ახალი საეჭვო შემთხვევების # / დაკვირვების ქვეშ მყოფი კონტაქტების #	მონიტორინგის ხარისხი, ვირუსის გავრცელების დინამიკა
კონტაქტების მოძიების საქმიანობაში ჩართული დატრენინგებული მოხალისეების %	დატრენინგებული მოხალისეების #, რომლებიც წარმოადგენენ ანგარიშებს მოთხოვნების შესაბამისად / კონტაქტების მოძიებაში დატრენინგებული	პროგრამის მონიტორინგი

	მოხალისეების რაოდენობა	
კონტაქტების მოძიებაში დატრენინგებული ტრენერების (ToT/უფროსი ტრენერები) ჯამური რაოდენობა და კონტაქტების მოძიებაში დატრენინგებულ მოხალისეთა ჯამური რაოდენობა	კალკულაცია საჭირო არაა	საჭიროა პროგრამის მონიტორინგის კალკულაციისათვის და შემდგომი დაკვირვებისათვის
რისკების ინფორმირებისა და ჯანმრთელობასა და ჰიგიენასთან დაკავშირებით თემის ჩართულობისას დაკონტაქტებული პირების #	კალკულაცია საჭირო არაა	პროგრამის მონიტორინგი

## დამატებითი ინსტრუმენტები და გაიდლაინები

1. [Community Engagement and Accountability Hub](#)
2. ICRC Humanitarian Law and Policy. [COVID-19 and contact tracing: a call for digital diligence](#)
3. [ICRC Handbook on Data Protection in humanitarian action](#)
4. [IFRC COVID-19 Health Help Desk](#) for the latest guidance on Coronavirus disease (COVID-19) including community health guidance
5. [RCCE tools and training, including for feedback collection and analysis, can be access through the matrix of resources](#)
6. [Social Stigma Associated with COVID-19: A guide to preventing and addressing social stigma.](#) (IFRC, WHO, UNICEF)
7. [WHO Contact Tracing in the context of COVID-19](#)
8. [WHO Considerations in the investigation of cases and clusters of COVID-19](#)
9. [WHO Early detection and Identification of COVID-19](#)
10. [WHO Ethical considerations to guide the use of digital proximity tracking technologies for COVID-19 contact tracing](#)